

მეცემსი

1885-1886

მწეპსი დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, ყოველი თვისათს, ოცს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გ ა ზ ე თ ი ს უ ა ს ი :

ერთი წლისა გაგზავნილ დაგუგზავნულად	5 მან.
ხანევარი წლის — — —	3 —
„მწეპსი“ რუსული დამატებით — — —	6 —
ხანევარი წლით — — —	4 —
ცალკე რუსული დამატება წლით — — —	3 —
ხანევარი წლით — — —	2 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Копи-ры, Въ редакцію „Миремси“ (Пастырѣ).*

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავად, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიე-ბი შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკან-ვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

სამეკლესიო—სამრევლო და სახალხო სკოლების მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში წინათ და მხლა.

სტატია პირველი.

ამ საუკუნის დასაწყისში საეკლესიო-სამრევლო და სახალხო სკოლების, როგორებიც ეხლა არიან დაარსებულნი სოფლებში, ხსენებაც არ ყოფილა. წერა-კითხვას და საღმრთო წერილს სასულიერო წოდებას და საერო პირთაც მონასტრებში ასწავლიდნენ. ამ საშუალებით წერა-კითხვის ცოდნა ხალხში მაშინაც იყო გავრცელებული, რადგან თითქმის ყოველი დედა ვალდებულია რაცხდა თავის თავს თავისი შვილებისათვის წერა-კითხვა ესწავლებია. სოფლის მღვდლებიც ასწავლიდნენ ზოგიერთებს წერა-კითხვას, მაგრამ ზოგიერთ ადგილს მღვდლებმაც არ იცოდნენ მხედრული წერა-კითხვა. წინეთ ქალაქი ჩვენში ძლიერ ძვირი იყო და ეხლანდელი საწერი დაფები და გრიფელები ვინ იცოდა! მხლანდელი დაფების მაგიერ ჩვენი ხალხი წინეთ ხმარობდა ძროხის და ხარის ბეჭის ძელებს საწერად. მე

თვითონ მოესწრებივარ იმ დროს, როდესაც ხარის ბეჭებზე სწავლობდნენ წერას და კალმით ქათმისა და ინდოურის კანჭის ძელებს ხმარობდნენ. მთელს დასავლეთ საქართველოში ერთად-ერთი მუთათისის ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელის მეტი არ იყო. ბამო-უცხადეს სასულიერო წოდებას, რომ შვილები შეეყუ-ნათ სასწავლებელში, მაგრამ სამღვდლოებას ძლიერ ეზა-რებოდა შვილების შეყენა ამ სასწავლებელში. მოი-თხოვეს ზღალოჩინების საშუალებით მღვდლოთაკან შვილების შეყენა სასულიერო სასწავლებელში. დი-დალ და-საჩუქრებდნენ ხოლმე ზღალოჩინებს ძღვედლები, თუ ისინი როგორიმე გზით მათ შვილებს სახლში დასტოვებდნენ და სკოლაშიარ წააყვანინებდნენ. მრავალს ადგილას სამღვდლოებამ მცირე წლოვან შვილებს შერთო ცოლები და ამით მოახერხა თავიან-თი შვილები სწავლას აეცდინა! ამ დროს საეკლე-სიო ან სასოფლო სკოლების ხსენება სად იყო!

საეკლესიო-სამრევლო სკოლების ხსენება დასა-ვლეთ საქართველოში სრულებით არ ყოფილა 1859 წლამდე. ამ წლის დამლევს მობრძანდა იმერეთში ეპისკოპოსად ყოვლად სამღვდლო გაბრიელი. მოსვლისა თანავე მან მიაქცია ყურადღება სამრევლო სკოლების დაარსებას იმერეთის ეპარქიაში. ბამოუცხა-

და სამღვდლოებას, რომ ის განსაკუთრებით ყურადღებას მიიქცევს იმათ, ვინც გამოიჩინეს ზრუნვას სამრევლო სკოლის დაარსებაში და ბავშვების სწავლებაში. ეს იყო მიზეზი, რომ ყოვლად სამღვდლო მამრიელის ეპისკოპოსობის პირველ წელშივე გვარიანად გავრცელდა იმერეთის ეპარქიის ზოგადი სოფლებში სამრევლო სკოლები.

მუთაისის გუბერნია 1870 წლამდე თითქმის ღვთის-ანაბრათ იყო გაშვებული. აქ არც სახალხო სკოლების ინსპექტორი ყოფილა და არც დირექტორი. სამოცდა ათ წელში იმერეთში კარგა ბლომად იყო სამრევლო სკოლები, რომლებშიაც კარგა ძალი მოსწავლენი იყვნენ. ამ სკოლებში მასწავლებლებად იყვნენ ან მღვდელნი და ან სხვა ვინმე სასულიერო სასწავლებელში კურს შესრულებულნი პირნი. სწავლაც, იმ დროის შესაფერად, წესიერად მიდიოდა.

ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსმა მამრიელმა ამ სამრევლო სკოლებით გავრცელებაში წერა-კითხვა. სამოცდა ათ წელში მუთაისის გუბერნიაში დანიშნეს სახალხო სკოლების ინსპექტორად ბ. ტროე. ამას უნდა დაეარსებინა სახალხო სკოლები და, რასაკვირველია, კარგი თვლით არ დაუწყო ყურება საეკლესიო-სამრევლო სკოლებს...

დანიშნა თუ არა ინსპექტორად განსვენებული ბ. ტროე, მოილაპარაკა მან ერთად მაზრის უფროსებთან და გარდასწყვიტეს გახსნა ყველა სოფლის კანცელარიებთან სახალხო სკოლებისა. ხარჯის შემოკლებისათვის და ჯამაგირის გადიდებისათვის გადასწყვიტეს დანიშნა მასწავლებლად იმისთანა პირი, რომელთაც უნდა აღესრულებიათ სოფლის სასამართლოს მწერლის თანამდებობაც. საზოგადოებას შეადგენინეს განჩინებანი რომ ისინი ყველა საზოგადოებაში აღაშენებენ სასწავლებლებს და სკოლისათვის თვითი საზოგადოება გარდინდის წელიწადში 25-50 კ. ამასთან მოიფიქრეს ერთი კეთილი საქმის გაკეთებაც. გარდასწყვიტეს, რომ ხალხში დაეარსებიათ პურის მაღაზიები, ასე რომ შიმშილობის დროს საზოგადოებას თავი გაეტანა ორ წელიწადს მაინც!.. განჩინებანი წესიერათ და რიგიანად შესდგა ყველგან, მაგრამ საქმით სისრულეში მოყვანა კი ძნელად აღსასრულებელი შეიქმნა. ისე ადვილად აღსასრულებელი არ გამოდგა ყველა ეს მოსაზრებანი, როგორც ადვი-

გან. მაგრამ აქ გასაკვირველი არაფერია, რადგან ხშირად ეხედვით ჩვენ, რომ სიტყვით ბევრს ეფიქრობთ, მაგრამ საქმით კი გვეძნელება აღსრულება, სიტყვით ყველაფერი გვეადვილება და საქმით კი ყველაფერი გვიძნელებს. რატომ? იმიტომ, რომ ცოტა წინ ვამტკიცებლობა გვაკლია...

პირველად მასწავლებლების შოვნა უძნელდებოდათ, მაგრამ შემდეგ იმოღვნი მთხოვნელები აღმოჩნდნენ, რომ კიდევ გადაჭარბეს ვაკანსიებს. დანიშნენ როგორც მასწავლებელნი ინსპექტორის მხრით და როგორც სოფლის სამმართველოს მწერალნი — მაზრის უფროსების მხრით და დარიგდნენ სოფლებში, სკოლების სახლე-არც კი იყო დაწყებული ზოგიერთ საზოგადოებაში, მაგრამ ბევრს ადგილას ეს მაინც არ უშლიდათ ზოგიერთ მასწავლებელთ ჯამაგირს მიღებას. ზოგან გამართეს სასწავლებლები და დაიწყო სწავლა. რამოდენიმე ხნის შემდეგ საქმემ სულ სხვა დანახვა საზოგადოებას და მთავრობას. ზოგიერთმა მწერალ-მასწავლებლებმა დიდი ნიჭი გამოიჩინეს მწერლობაში და ადვილად ადგენდნენ სხვა-და-სხვა „პროტოკოლებს“, მაგრამ ამისთანა გაქნილობა მწერლებს მასწავლებლობაში სულ არ გამოადგათ; რომელნიც კარგად ასწავლიდნენ კლასში, ისინი მწერლებათ არ ვარგოდნენ. შეიქმნა ერთი აყალ-მაყალი.

კარგა ხნის შემდეგ სახალხო სკოლების დირექტორი და მაზრის უფროსები დარწმუნდნენ, რომ ერთსა და იმავე პირს სოფლის სასამართლოს მწერლათ და სკოლის მასწავლებლად ყოფნა არ შეუძლია. მოაშორეს სოფლის სასამართლოს მწერლობა, რომელთაც მართა მასწავლებლად ყოფნა ინებეს, მაგრამ ამათი რიცხვი ძლიერ ცოტა აღმოჩნდა.

მრავალმა მათგანმა გაიგო გემო სოფლის სასამართლოს მწერლობისა და თითქმის მათში სამი წილი მწერლებათ დარჩნენ. გამოჩნდნენ კიდევ სახალხო სკოლებში მასწავლებლობის ადგილს მთხოვნელნი. ჩვენში სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში კურს შესრულებულნი ბევრნი იყვნენ და ყველა ამისთანა პირთა სოფლის სასწავლებელში დაიჭირეს ადგილები მასწავლებლობისა. ამ გვარად მიდიოდა ხალხის განათლების საქმე ცოტა ხანს.

მღვ. დ. ღამბაშიძე.

აფხაზეთიღვან.

მცდა ექვს სექტემბერს უეცრად მობრძანდა ყველასაგან პატივ ცემული და საყვარელი ყოვლადსამღვდელო, იმერეთის ეპისკოპოსი ბაბრიელი. უეცრად მობრძანდათქო, ვამბობ იმიტომ, რომ აქ ამაწლის იანვრიდან ახალი ეპარქია არის დაწესებული. აფხაზეთს საკუთარი ეპისკოპოსი უნდა ეყოლოს და ბატ. სინოდის ობერ-პროკურორმა კიდევაც გვაუწყა, რომ ამ მოკლე ხანში მოგივით ახალი ეპისკოპოსი მოსკოვიდამო. ჟოვლად სამღვდელო ბაბრიელის მობრძანების მიზეზი გახლდათ ახლად განახლებულის ძველი მონასტრის ღრანდის კურთხევა. ამ მონასტრის საკურთხად პირველად მიმართეს საქართველოს ეგზარხოს, მისს მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობას პავლეს და სთხოვეს მობრძანება, მაგრამ ამ საქმის აღსრულება მან მიანდო იმერეთის ეპისკოპოსს ბაბრიელს; ესეც მობრძანდა. თვით მონასტრის კურთხევაზე არასფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ ამ დღეს აქ დიდი ხალხი დაესწრო. საქმე ის არის, რომ უმეტესი ამ ხალხისა გახლდათ რუსეთიდან მოსული დაბალი ერი. ასამდის ამათგან, როგორც მიაშვს, ძავესიის ქედიდამ გადმოსულან ამ დღეებში. მრთი თუ ორი სიცოცხისაგან გზაში მიცვლილა. მკრი დედა-კაცი ჩემის თვალთ ენახე, რომელთაც ხელ-ფეხი დამხრალი ქმონდათ ყინვისაგან. მონასტრის კურთხევის შემდეგ მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა ბაბრიელი მობრძანდა ქ. სოხუმში და ოცდარვა სექტემბერს სწირა აქაურ ახალ სობოროში. წირვის შემდეგ თავის ჩვეულებრივი ცნობილი და საგულისხმო სიტყვა მოგვასმინა კათედრიდამ. მქადაგებელი, მართალი უნდა მოგახსენოთ, მაცოქულთ შესადარია. როგორც ზღვას ვერ ამოაშრობთ, ათასი კაცი რომ დაეხტოს ვერას დააკლებს, ისე ბაბრიელის დიდ არატორულს ნიქს ყოველ წამში რომ სიტყვას ამბობდეს, მაინც არაფერი დაეტყობა, ყოველ წამში ახალსა და ახალს აზრს და ქეშმარიტებას იტყვის. ღვსაც ასე იყო, ჯერ გარდმოგვცა დღის სახარების შინაარსი და განგვიმარტა იგი, შემდეგ ცოტა ხანს შეჩერდა, მოაგლო თვალი ეკლესიაში მდგომთ და სთქვა: „ამ ეკლესიაში დღეს მე პირველად და უკანასკნელად ვსწირე; ყველა აქ მყოფს გემშვიდობებით. აწ ჩემ მაგიერად სხვა მღვდელ-მთავარი გეყოლებათ, მე მოვა-

ლეთ ვრაც ჩემს თავს მაღლობა გამოგუცხადო იმ პირთ, რომელნიც შემწეობას მაძლევდნენ ჩემს მძიმე საქმის შესრულებაში. ღვთის შემწეებით მე და ჩემმა ხელის მწყობლებმა ისეთ გზაზე დავეყენეთ ქრისტიანობის საქმეაქ, რომ დღემდის თითქმის მთელი აფხაზები გაქრისტიანდებოდნენ, მაგრამ რუს-მსხალოს ომმა შეგვიშალა ხელი. სულ თერამეტი წელია, რაც მე ამ ქვეყნის მღვდელ-მთავარი, მისსიონერი ვარ. ამ დროის განმავლობაში დიდი შემწეობა გამომიჩინეს ჩემმა სამღვდელოებამ განსაკუთრებით მ.ღვ. მაჭავარიანმა, რაისათვის დიდი მაღლობელი ვარ ამისი, ამასთანავე მაღლობას ეუძღვნი ყველა აქაურ სამღვდელოებას. ამათ შემდეგ მაღლობას ეუძღვნი ჩემის ევლრებით ღვთისადმი აქაურს ძველს უფროსს, აწ უკვე განსვენებულს ღვთისაღვს ბეიმანს. მს კაცი როგორც კარგი ადმინისტრატორი იყო, ისე დიდი ღვთის მოყვარე და ქრისტიანი იყო. ის უბრალო აფხაზს, რომელსაც ტყეში ხეტილის მეტი არაფერი ესმის, ისე უყურებდა, როგორც რომელიმე განათლებულს კაცს, განსხვავება ამათში, იმისი სიტყვით ის იყო, რომ უსწავლელს და უმეცარს აფხაზს უფრო შებრალება და დახმარება უნდაო, ვინემ ნასწავლს და ჭკუა-გონება გახსნილსო. მუღამ ჩემთან დაიარებოდა სოფელ-სოფელ და უმარტედა ხალხს ქრისტიანობის დიდ მნიშვნელობას და ქრისტეს მოძღვრებას. თუ არ ვცდები ბეიმანი ყველა აფხაზს უყვარდა როგორც თავისი კეთილის მყოფელი. ღვსაც კი დაუფიქვარია იმისი სახელი ამ ქვეყანაში. მილოცვიდეთ ღვთის წინაშე განსვენებისათვის სულისა მისისა წილისა შინა აბრაამისა“. ამითი დაბოლოვა ყოვლად სამღვდელომ თვისი უკანასკნელი სიტყვა. სიტყვას „მშვიდობით“ დიდი ზედ მოქმედება აქვს მამენელზე, განსაკუთრებით თუ ეს სიტყვა მამენელის კარგი ნაცნობისაგან, პატივ-ცემულისაგან და საყვარელისაგან არის ნათქვამი. ბრძანა თუ არა ყოვლად სამღვდელომ „მშვიდობით“ თითქმის ყველა იქ მდგომთ თვალთაგან ცრემლები გარდმოლვარეს.

ანთ. კუღელი.

ჯ რ უ ჯ ის მონასტერი.

ჯ რ უ ჯ ის წმ. ბიორგის მონასტერი მდებარეობს შორაპნის მაზრაში აღმოსავლეთი ჩრდილოეთისკენ. დაბა შეირილიდგან სამოც ევრსტზე მდინარე ჭყირი-ლას ერთის ჩრდილოეთის მხრით პატარა მდინარე ჯ რ უ ჯ უ ლ ა, რომელსაც პირ-და-პირ მოზღდევს დიდი საცხენოსნო გზა იმერეთიდან მიმავალი. ეს გზა პირ-და-პირ გადადის რაჭაში. ამ გზით მიმავალი მგზავრი დაინახავს ჩრდილოეთისკენ ზემოთის მთების ლღიაში, მაღალ გორაზედ ეკლესიას და რამდენიმე შენობებს ეს არის ჯ რ უ ჯ ის მონასტერი.

მონასტერს აღმოსავლეთით ჩამოუდის მდ. ჭ რ უ ჯ უ ლ ა, დასავლეთით მდ. წყალფენილა, რომლებიც მონასტრის ქვემოთ იყრებიან ერთათ. ამ წყლებში კალმახი და სხვა თევზი ბლომად არის. მისასვლელი გზა აქვს მონასტერს დასავლეთის მხრით. როცა მონასტრის ეზოში შეხვალთ, პირველად თქვენს ყურადღებას მიიქცევს დიდი უზარმაზარი ბეგელი და სასი-მინდევ, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ ამ რამოდენიმე წლის წინათ მდიდარი ყოფილა ეს მონასტერი პურით, ღვინით და სხვა ხორაგეულობითა. ძვეთ-კირის სამრეკლოს ქვეშ არის ეკლესიის გალავანში შესასვლელი დიდი ალაყაფის კიშკარი. როდესაც ამ კიშკარს შეაღებს კაცი, ის დაინახავს მტკიცე ნაშენ ქვეთ-კირის გუმბათიან ეკლესიას და ერთ დიდ სახლს, რომელშიაც სცხოვრებს არქიმანდრიტი. ამ სახლს ბევრი სენაკები აქვს. ეს სახლი აშენებულია განსვენებულის იმერეთის მიტროპოლიტის ღვთისმეორ; მისგანვე აგრეთვე აშენებულია აქ სხვა მრავალი ხის და ქვეთ-კირის შენობანი. ბაღავანი ეკლესიას ძლიერ ეიწრო აქვს; ამ გალავანში არიან დასაფლავებული ხსენებული მიტროპოლიტი ღვითი და წერეთელთა გვარეულობანი. როგორც ზეპირ-გადმოცემით ვიცით, ჯ რ უ ჯ ის მონასტერი აუშენებია რაჭის ერისთავს. ამას ამტკიცებს დასავლეთის კარებზე მარჯვენას მხრით წარწერა; აი ეს წარწერა: წმი-დაო მოწამეო გიორგი, შეიწყალე მიქელ მოუწავი ჯ რ უ ჯ ის დიდის ეკისთისა. აღმოსავლეთის მხრით თვით გუმბათის ძირში არის კაცის სახე დახატული, რომლის იქით-აქეთ ორი ჯვარია გამოხატული. თვით სახის თავზედ და ჭერების ქვეშ არიან წარწერანი, მაგრამ, სამწუხაროთ, ძირიდან ღერბინდითაც შეუძ-ლებელი შეიქნა წარწერების ამოკითხვა, და სიმაღ-

ლისა გამო ახლოს მისვლაც შეუძლებელია; სამ წარ-წერებში მხოლოდ ორი სიტყვა შეიწყალე მონა წავი-კითხე. შეიძლება, რომ ეს სახე ჯ რ უ ჯ ის ამაშენებ-ლის იყოს და წარწერაც, როგორც სათაურიც გვიმ-ტკიცებს, მას უნდა ეკუთვნოდეს. ეკლესიის გარეთ კედლებზედ ბევრს სხვა-და-სხვა სახეს შენიშნავს კაცი, თუ კარგათ დაუყვირდა.

მონასტრის ეკლესია სიერციტ პატარაა და არც შეიგნე არის დახატული. სამხრეთის მხრით კედელ-შია ქვა, რომელზედაც აწერია მხედრული ასოებით: ჭოი მსედგეღნო ამის საფლაგისანო! მდებარე ამას შინა ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტი სიმონ აბაშიძე, დარღვეულითა ნაწერითა ვითხოვ შენდობასა, ანთუ ჩემისა ღირსებისათვის, ანამედ მონასტრისა მის სასო-ებისათვის, რომელ დავჰქარ ყოვლის შემდეგით ჩემით. ამასათვის მრავლის წლის დარღვეულისა მონასტრისა ვექმენ წინამძღვარ ყოვლითა შეწყვნითა, განვამწყსე კრებულესა ამას შინა და აწ განვედ ამ მიერ და ვიქმენ მონა და ნაწარ, რომელი ყოველთა ჩემ ცოდვაღათვის ვითხოვ შენდობას, რათა თქვენცა შეგენდნეს ცოდვანი თქვენი. წელსა 1778-სა თვესა აპრილსა 12-სა.

ამ მიტროპოლიტის გვამის გარდა არიან დასა-ფლავებული ეკლესიაში სახლთ-ხუცესი ზურაბ წე-რეთელი თავისი მეუღლით და სხვათა მეფის შთამო-მავალთა და წერეთელთა მიცვალებულების გვამნი.

ძანკელი ეკლესიისა შემუყლია სხვა-და-სხვა ძვირფასი ხატებითა და საეკლესიო ნივთებითა, რომელთა შორის უფრო შესანიშნავები არიან: 1) ოქ-როთი მოჭედილი პატარა ნაწილებიანი ხატი ძველის ხელოვნებისა, რომელშიდაც ასვენია ძელი ქვშა-რიტი; აქვს მინანქარი, რომელზედაც არის დახატული წმინდა მოწამე დიმიტრი; აწერია ქართულათ: წმი-დაო მოწამეო დიმიტრი, თან სახელსა შენსა დადიანის ძეს მიეც აღზრდა, რომელ დავშით საქართ-ველსა მეფის ასულს დღისა ათისა; ქრისტესით 1769-სა წელსა. 2) ღვთის-მშობლის ხატი ოქროთი მოჭედი-ლი ძვირფასი ძველი ხელოვნებისა, ნაწილებიანი—აწერია: ყოვლად ვრთვამ სძალე კინი იესე და ყოვ-ლად მწირი, უწმიდესო შენ მამისა სძალე უსძალე და მისის სახელის შეიღებო სასანთლეო აღნათო მნათო იმის შობით განმდრთობილო. მე შენის სახის ვიკადრე ესრეთ მეობა სახელით გრიგოლ სირთა წერეთელმან, ძემან წერეთელ სახლთ-უხუცეს ზურაბისამან, ყოვლი-თურთ შენმან სასოებელმან მონამან. თვალთ პატიოსა-ნით ოქროსათანა ნათხზი გაძლვენ დედაო. მეობიდა



ესე უნდა მიადო, და და იესოს მხსნელისა, ვითარცა თვით მან ოდესმე ქარივის ძველი. აუგან უოვლად შე-
წე და მტველი, მოხვადენ რა სულსა შეგნების წესისა-
მებრ ჩემთადა მათ მშობელთა სასურველთა, მეუღლისა,
მეთა და ასულთა თანა შესაწევნელათ სრულ იქმნა ესე.
ქმნილ ქრისტესით წელსა 1810-სა მარტის 1-სა. 3)
ღვთის-მშობლის ხატი ვერცხლით მოქედილი, ოქროს
წყალში ცურვილი, რომელზედაც აწერია: უოვლად
წმინდა ღვთის მშობელა, ღმრს მეუ მე საუკონოსა
ცხოვრებას მეუღლით, ძეებით და ასულთა ცაღვიდი
მონა შენი ბატონიშვილი გიორგი, რომელმანც შევა-
გამ სატი ესე შენი წმიდა. ამინ! ქრისტესით 1775
წელსა.

როგორც ზევითაც მოვ-ხსენიეთ კანკელი მრ-
ვალი ძვირფასი ხატებით და სხვა ნივთებით არის
შემკული, რომლებიც არიან შემოწირულნი სახლ-
ბუტის ზურაბ წერეთლისა, მისი შვილის ბრიგორის
და სხვთა პირთაგან.

საეკლესიო ნივთთა შორის არიან შესანიშნავნი:
ვეცხლის ბარძიმი თავისი მოწყობილობით, რომელიც
მარტო ბარძიმი იწონის თორმეტ გირენქას და ერთი
დიდი ვეცხლის საცეცხლოური ნახევარი ფუთის სიმ-
ძიმეა.

მნახველის ყურადღებას იქცევს მონასტრის სხვა-
თა სამკაულთა შორის ხელით ნაქარგი გარდამოხსნა
ძვირფასის და სამაგალითო ხელოვნებისა. ეს გაღა-
მოხსნა შეუწირავს მონასტრისათვის მეთევნა აბაში-
ძის ქალს, რომელიც, როგორც ზედ წარწერა ამ-
ბობს, მოუქარგავს მის მოახლეს ვილც ჰანვერდის.
ეს მშვენიერი ხელოვნებით ნაქარგი გარდამოხსნა
ცხადად გვიმტკიცებს ძველი ძართველი ქალების ქარ-
გვა-კერვის ზედმიწევნით ცოდნას და ეკლესიებთანდმი
სასოებას.

ტრაპეზი ეკლესიისა ძვირფასად შემკულია დი-
დი ვერცხლის სანაწილით და სხვა ტრაპეზზე და-
სასვენებელ ნივთებითა. აქ ასვენია ერთი წმიდა ოქ-
როს სანაწილე ოქროს გასაზავებელით და კოვებითა.
იქვეა დასვენებული ხელთ ნაწერი პატარა სახარება,
ვერცხლით მოქედილი და სხვა მრავალნი ნივთნი.

შეელაზედ უძვირფასესი ნივთი ამ მონასტერში
არის ერთი მშვენიერი ტყავზედ პატარა ხელთ-ნაწერი
სახარება ოქროს ყლით შემკული, ძველის ხელოვნები-
სა, რომელსაც სიგრძე აქვს 1 1/2 გოჯი, სიგანე 1 1/2
გოჯი და სისქე 1/2 გოჯა. ეს სახარება არის სრული
და აქვს ყველა საჭირო სარჩევი. თუმცა ძლიერ წმი-

დათ არის ნაწერი, მაგრამ ისეთის მშვენიერის ხელით
არის ნაწერი, რომ წასაკითხავთ ძალიან ადვილია.
ჯრუტის მონასტრის ეკანომა, რომელიც სიყრმიდ-
გან აქ გაზრდილია, მიაბო, რომ ეს სახარება, რო-
გორც გამოგონია, ერთი ვილც მოხუც ბერისაგან
არის ბალნით ნაწერი. ამ სახარებას ზედ წარწერა
არა აქვს, მაგრამ, ჩემის აზრით, ძლიერ ძველად
დაწერილი უნდა იყოს. ეს სახარება ძვირფასი განძია
არხოლოგიისათვის, როგორც ყდის ხელოვნებით, ისე
სხვაფრივაც.

მონასტრის წიგნთ საცავი მდიდარია სხვა-და-სხვა
ძველი ხელთ ნაწერი წიგნებითა. მრავალთაშორის და-
ვასახელებ რამოდენიმეს: 1) დიდი ხელთ ნაწერი სა-
ხარება, ასო მთავრულით ნაწერი ტყავზედ. შეანას-
კნელს ფურცელზედ აწერია ხუტურის ასოებითა:
სასელითა მამისათა და მისათა და სულთა წმიდისათა.
„მეოხებითა წმიდისა ღვთის მშობლისათა, ძლიერებითა
პატრიარქისა ჯვარისათა, მეოხებითა წმიდისა იოანეს ნათ-
ლის მცემელისათა და წმიდათა მახარებელთა და მოციქულ-
თა და წმიდათა წინასწარმეტყველთა, მღვდელთ-მოძღვარ-
თა და წმიდათა მამათა და უოველთა წმიდათა ნების მეო-
ფელთა მასათა“.

ღმრს გქმენ მე გრიგორ დაწერად წმიდა ესე სახა-
რება ხელთა გაბრეულ მღვდელთა ნაჩქევითა, თავად მე-
ფესა ჩემსა საუმბათს სალოცველად და შეგდგომად მშო-
ბელთა ჩემთა მიჰმანისთვის, თინათინისთვის და მმათა და
დათა ჩემთათვის და ჩემთა ცაღვითა და თანა ცხოვრე-
ბელთა ჩემთა სახსართ და მეკადრთა სასესებელად ილა-
ჩიონისთვის და ჯაველისათვის. აწ ვინცა იკითხევდეთ
წმიდას ამას სახარებას ნუშტა დაიწეებულა კართა ღოც-
ვასა წმიდას თქვენსა ცოცხალნი და მეკადრნი და თქვენ-
ცა უთვალმა მადლოთ მოგანაჰოსთ მაგიერა ამინ. დაიწერა
წმიდა ესე სახარება მაწკერმს ხელითა უცბათ მხსრეკე-
ლისა გაბრეელისათა და შეწევნითა და მოძღვრებითა გიორ-
გისათა“. ჭი დიდგულს მოდგინება მიხვენა ამის სახარე-
ბის დაწერაში სსკნებულთა, რომელნიცა არიან კეთილსა-
შინა ამინ. დასაბამიდან წელნი იყენეს 6540“. 2)
გრცელი ანბანზედ გაწობილი დიდი ქართული ლექსი-
კონი ღრმატიული ცნობებითა. უგანასკვნელს ფურცელ-
ზედ აწერია:

ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენთა დამიწუნეთა,
ჩემს დროს ვეძიე, ვერ შევხვდი თქვენის დასარწმუნოთა,
ეს რა შეგვრიბე, მიქმდნენ მაშინ არ დასაგმუნოთა,
და უურდელის მომდრე ჯორჯ ძაღლსა არ სდებენ საბა-
ბუნოთა

„აქ ლექსიკონი არ იყო, და არცა ვარგოდა ქართველთა უკმაღლეობით ფურცელნი, გაუბნევია ქართველთა, ახლად შევარიბე, შევამკვე ჩემი ვიშრომე სულხანი საბამ ორბელიანმან, ვის ერად მერქვა სულხანი“.

სრულ იქმნა სატყვის კონა ესე, რომელ ჰქონს ლექსიკონი.

მორონიკონი არ აწერია.

როგორც ამ ზევით მოყვანილი ლექსიდან სხანს, ეს ლექსიკონი არის შედგენილი საბა-სულხან ორბელიანის მიერ.

ჯრუჭის მონასტერს დიდი შექმნა ჰქონდა განსვენებულს იმერეთის მიტროპოლიტის დავითის ხელში, რომელმაც ყოველის მხრით განაშენა და გაამდიდრა ეს მონასტერი. 1872 წლამდინ მონასტერს ყავდა 220 კომლი გლეხი; ჰქონდა მრავალი სხნავე-სათესი ადგილები; ჰყავდა ცხენის, ხარის, ძროხის და სხვა წევრ-ფეხის ჯოგი და ამასთან მრავალი ფუტკრის სკა, მაგამ ამ წლიდგან გლეხები და ადგილ მამული თავადმა წერეთლებმა დაიხმეს და ჩამოართვეს მონასტერს. ჯოგი და სხვა მონასტრის ქონება ახირებულათ გაიფლანგა; ეხლა ერთი ცხვარიც აღარ ჰყავს მონასტერს. მამულის ჩამოართმევისათნავე სასულიერო მართებლობამ აღძრა საჩივარი თავად წერეთლების წინააღმდეგ მონასტრის და მის კრებულის შენახვის თაობაზედ. მთავრობამ შეიწყნარა ეს საჩივარი და ვალდებულათ გახადა წერეთლები, რომ მათ ყოველს წელს მონასტრის კრებულის სარჩოდ იხადონ 700 მანეთი.

ხვეით მოვიხსენეთ, რომ სკები ჰყავდა მონასტერსათჳ, ეხლაც ორმოციოდე ძირი კილო ჰყავს მონასტერს და კიდეც ძლიერ ივარგებს ამ ადგილზედ, მაგრამ როგორც ჩვენ შევიტყეთ ამ სახიროსაქმეს—ფუტკრის მომონებას ძლიერ გულ-გრილათ ეკიდებიან ბერები.

მონასტრის კრებულს შეადგენენ: ერთი არქიმანდრიტი, 8 მღვდელმონაზონი, 2 იერო დიაკონი და სხვა მოსამსახურენი, რომელთაც ტრაპეზი თავ-თავისა აქვთ.

ბლაღოჩინი მღვდელი ი. წერეთელი.

ორიოდე სიტყვა ჩვენი მდაბიო სამეურნეო სკოლების დაპართვის შესახებ.

Народное образование,—вотъ къ чему, въ послѣднемъ выводѣ, сводится теперь все. Его успѣхами будутъ отнынѣ измѣряться всѣ наши успѣхи. Безъ образованія народныхъ массъ, мы не можемъ ступить шагу, и всякія улучшенія будутъ мнимыми, кажущимся, а не настоящими, прочными, дѣйствительными.

Кавелинъ.

მისაც კი ჩვენი ერის ცხოვრების მოთხოვნილებასთან ოდესმე რაიმე კავშირი ჰქონია, დაწერილებით გაუცენია და თვალ-ყური უღვენებია ამ მოთხოვნილებათათვის, იგი უეჭველად აღიარებს, რომ მიწის შემუშავების, მეურნეობის და მრეწველობის კულტურა ჩვენშიც ცუდს მდგომარეობაშია, მდაბალ წერტილზედ სდგას,—მაშასადამე ერის კეთილ-დღეობაც დაცემულია, შეფერხებულია. როდესაც ამ გვარ კალაპოტში მოქცეულა სოფლის მეურნეობის და მრეწველობის საქმე, რასაკვირველია, ფრიად საჭიროა, რომ რამე ნაირად აღუდგინოთ, უფრო ფართო გზა მიეცეთ, მაღალს წერტილზედ დაეყენოთ მისი კულტურა. რა და რა საშუალებანი უნდა ეიხმართ ამ მიზნის მისაღწევად? ჩვენი ფიქრით სოფლებში მდაბიო სამეურნეო სკოლების დამართვა უსაჭიროეს საშუალებად უნდა ჩაითვალოს, რადგან მხოლოდ ამ გვარი სკოლების შემწეობით შეუძლია ერს შეიძინოს უსაჭიროესი სამეურნეო და სამრეწველო ცოდნანი. მკვი არ არის, რომ ამ გვარი სკოლები სასარგებლონი არიან, რადგან ჯერ ხომ საზოგადოდ ყველაფერს ცოდნას, მით უმეტეს მეურნეობის ცოდნას აქვს თავისი ფასი, ამიტომაც მდაბიო სამეურნეო სკოლები, როგორც ერთა შორის სამეურნეო ცოდნის მომფენელნი, გამავრცელებელნი, ფრიად ყურადღების ღირსნი არიან. მაგრამ ჩვენ ამ წერილში გვსურს ორიოდე შენიშვნა წარმოვსთქვათ შესახებ მისა, რომ კერძოდ, ცალკედ გამართულს პროფესიონალურს სკოლას, მით უმეტეს სასოფლო სამეურნეო სკოლას, არაფერი მნიშვნელობა არ ექმნება, თუ კი ამას არ დაეხმარა, შემწეობა არ აღმოუჩინა

ეგრედ წოდებულმა ზოგად განათლებელ საერო სკოლამ (общеобразовательная народная школа). მეცდებით განმარტოთ ჩვენი ჰაზრი. საერო სკოლის კურსის შესრულების შემდეგ მოსწავლე შედის მღაბიო სამეურნეო სკოლაში იმ სწავლა-ცოდნით და მომზადებით, რომელსაც მას აძლევს დასაწყისი, ელემენტარული საერო სკოლა, — მაშასადამე პირველსა და უკანასკნელს შუა დიდი კავშირი ყოფილა გაბმული და მეორესი სეგ-ბედი საერო ელემენტარულ სკოლაზე ყოფილა ჩამოკიდებული. სამეურნეო სკოლაში შესვლისათვის შეგირდს უსათუოდ დასაწყისს, ელემენტარულ სკოლაში მაინც უნდა ჰქონდეს კურსი შესრულებული, — ამიტომაც საჭაროა, ვანებ მღაბიო სასოფლო სამეურნეო სკოლებს (низшая сельскохозяйственная школы) დავმართავდეთ, — ეიზრუნოთ დასაწყისი საერო სკოლების დამართვას და იმათ კარგს მდგომარეობაში მოყვანას; — წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ადვილად შესაძლოა, მომავალი სასოფლო სამეურნეო სკოლების საქმე შეფერხდეს, ერთხელვე გამოზომილ გამოჭრილ პლანზედ ველარ წავიდეს და ჩვენთვის ეს სკოლები უსარგებლონი შეიქმნენ.

რაც უნდა კარგად იყოს მღაბიო სასოფლო სამეურნეო სკოლებში საქმე მოწყობილი, რაც უნდა სამეურნეო სწავლა-ცოდნაში განვითარებული, კურს შესრულებული შეგირდები გამოდიოდნენ იქიდან, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სამეურნეო ცოდნანი მღაბიო სამეურნეო სკოლების საშუალებით, უფრო გავრცელდება მღაბიოთა შორის, როდესაც უკანასკნელს დასაწყისი საერო სკოლა გონებითად საკმაოდ მოამზადებს, რომ ამ ნაირად გაუადვილოს მათ საქმეში გამოსადეგი ცოდნათა შეგება, შეთვისება.

თუ კი გონებითად განუვითარებელნი არიან მღაბიონი, რასაკვირველია, მღაბიო სამეურნეო სკოლას არ შეუძლიან სისრულეში მოიყვანოს თავისი დანიშნულება, — მღაბიო სამეურნეო ცოდნათა გავრცელება ერთა შორის და მით აღდგენა სამეურნეო მწარმოებლობისა, რადგანაც მღაბიონი გონებითად ამდენად არ არიან მომზადებულნი, რომ შეითვისონ და საქმეში გამოიყენონ სამეურნეო ცოდნანი.

თუმც თვით საზოგადოებამ და თვით მართებლობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია სწავლა-განათლების საქმეს და კიდევაც დააყენა იგი შეუჩვეველ,

მკიდრ საფუძველზე; მაგრამ ცხლაც მღაბიონი გონებითი გახსნის სფეროში კოჭლობენ და ყოველგვარს ცოდნას, რომელსაც რაიმე ახალი შემოაქვს ცხოვრებაში, რაღაც სხვა თვალთ უყურებენ, არ არიან დარწმუნებულნი, რომ სწავლა-განათლება მათ სარჩოსაბადებელს შეჰმატებს. სანამ ჩვენი ერი ამ ნაირ მდგომარეობაში იქნება, რასაკვირველია, ყოველივე ცდა სამეურნეო საქმის გაუმჯობესებაზე ფუჭად ჩაივლის, რადგანაც ამას ხელს უშლის მღაბიოთა გონებათი განუვითარებლობა, გონებითი სიხვედ და სიბნელე. აქედამ ნათლად სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საერო სკოლას ერის ყოველ-გვარ წარმატებაში, თუ იგი სწორს რაციონალურს გზაზედ არის დაყენებული. ამ წერილის სათაურში ბ. ძაველინის სიტყვები მოვიყვანეთ, რომელსაც რუსეთის გლეხ-კაცობის ყოფა-ცხოვრება დაახლოვებით გაუცვნია, დაახლოვებით შეუსწავლია. აქვე იმავე მწერლის ჰაზრს მოვიყვანთ, რომელიც სწორედ ჩვენი გლეხობის ყოფა-ცხოვრებაზედაა გამოჭრილი. პი რას ამბობს იგი რუსეთის გლეხობაზე: «теперешнее культурное состояніе нашихъ крестьянъ, — говорить великій знатокъ крестьянскаго дѣла, Кавелинъ (крестьянский вопросъ, стр. 142 и слѣд.) — составляетъ самую существенную, самую непобѣдимую помѣху не только для улучшенія ихъ быта, но и вообще для всего нашего развитія». მართლაც, ბ. ძაველინისა არ იყოს, ჩვენი გლეხობის ყოფა-ცხოვრებას რომ ჩაუკვირდეთ, აეწონდაწონოთ, იგივე სამწუხარო მოვლენას, იგივე უმეცრებას, იგივე გონებითი სიხვედს შევნიშნავთ, რომელიც სამუდამოდ წინ ეღობება ყოველ-გვარ კეთილ წინ-მსვლელობას, ყოველ გვარ პროგრესს. ამიტომაც უსაფუძვლოა ზოგიერთთა ჰაზარი, რომელნიც ჰქადაგებენ, რომ დასაწყისი სამეურნეო სკოლები ელემენტარულ საერო სკოლებზე უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ, უპირატესობა უნდა მივცეთ და ამ გვარ სკოლების დამართვას უნდა ვცდილობდეთ. ჩვენ სრულიად წინააღმდეგნი ვართ ამ ჰაზრისა, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ იმ ზოგიერთთა ჰაზრი ცხოვრებაში გატარებულ, განხორციელებულ იქნა, დიდს ზარალს მოგიტანს თვისი შედეგით. ჩვენი გულითადი სურვილია, მღაბიოთა, გლეხთა შორის, საჩქაროდ გავრცელდეს, საჩქაროდ მოეფინოს სასარგებლო სამეურნეო ცოდნანი, — ამიტომაც დავემკარნით ზემოთ მოყვანილ



საფუძველსა ზედა, წინააღუდეგით ზოგიერთ ეაყ-ბა-ტონების შემცდარს ჰაზრს, შემცდარს შეხედულობას, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ეს მდებარე სა-მეურნეო სკოლები მხოლოდ მაშინ დაგეგნავენ სრულ-ლიად საკმაო მოსალოდნელ ნაყოფს, როდესაც სწავ-ლა-განათლება ფართოდ ფრთებს გაშლის და საერო სკოლა ნამდვილს, ნაციონალურს გზაზედ დამყარდება. ამ ნაირად სწავლა-განათლების გაფართოება, გავრცე-ლება მდებარეობა შორის და საერო სკოლების და-მართვა სამდაბიო-დასაწყისი პროფესიონალური, სპე-ციალური სკოლების წინ-მსვლელობისათვის და მათი კე-თილ-დღეობისათვის უსაქიროესს საგანს, — *conditio sine qua non*, — შეადგენს და, თუ პირველი მხარ-ში არ ამოუდგა მეორეს, უკანასკნელს არსებობა ყოე-ლად უმნიშვნელო და ყოველად უნაყოფო იქნება.

დუგა ჩომასიძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

2. ოკტომბერს მოწამეთის მონასტერში დიდ-ძალი ხალხი იყო სალოცავად. ბევრჯელ დაესწრე-ბივართ ამ დღეს მოწამეთის მონასტერში, მაგრამ იმდენი ხალხი, რაც წრეულს იყო, არ გვინახავს. ამისი მიზეზი, ჩვენის აზრით, უნდა ყოფილიყო შემდე-გი: მოწამეთის მონასტერი იმყოფება ტყიბულის რკი-ნის გზის პირად, ჭუთაისს და ზელათს შუა. მო-ნასტერის წინამძღვარმა და ჭუთაისის საზოგადოებამ სთხოვა რკინის გზის საზოგადოებას, რომ ამ დღეს მლოცველები რკინის გზით წაეყვან-წამოეყვანათ მო-ნასტერში და შემოსავალი ფული რამე კეთილი საქ-მისათვის გადაედოთ. რკინის გზის მმართველობამ შეიწყნარა ეს თხოვნა. სამი დღის წინათ გამოაცხა-დეს, რომ ხალხს რკინის გზით შეუძლია მონასტერ-ში წასვლა და ფასებიც გამოცხადებული იყო. მე-სამე კლასის ბილეთი ღირდა 25 კ., მაგრამ ორს ოკტომბერს მარტო 17 კაპიკს ახდევინებდნენ მესა-მე კლასის ბილეთში. დილის 7 საათიდან ნაშუა-დღეის ორ საათამდე ხუთ ჯერ მოვიდა ორთქლით მატარებელი ხუთი ვაგონით მონასტერში და ყოველ-თვის ვაგონები სავსე იყო ხალხით.

ამ დღეს ამ მონასტერში მწირველი ბრძანდე-ბოდა ყველასაგან პატივცემული ყოველად სამღვდლო მამრიელი, რომელმაც წირვის შემდეგ დღის შესა-ფერი სიტყვა უთხრა მსმენელთ. მონასტრის გარშემო-მდებარე ტყე სავსე იყო ხალხით; თავისუ-ფალს ადგილს ვერ იშოვიდით, რომ სადმე პური გე-ჭამათ. არავითარმე უწყსოება და ჩხუბი არ ყოფი-ლა ამ დღეს აქ. რკინის გზის საზოგადოებას, ჩვენის აზრით, კაი ძალი ფული უნდა შემოსვლოდა, მაგ-რამ არ ვიცით, თუ რამდენათ აღიმატა მონასტრის შემოსავალმა უწინდელზედ?

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ერთს ყმაწვილს კაცს, სახელდობრ, ბ-ნს პ. მირიანაშვილს ქალაქი შეუტა-ნია ქაქასიის მთავარ-სამმართველოში და უთხოვია ახალის ქართულ გაზეთის ბეჭდვის ნება რთვა. ბაზე-თი სალიტერატურო და საპოლიტიკო იქნება და კვი-რაში სამჯერ გამოვაო. წელიწადში ელირება 7 მან. ტფილელთათვის, ხოლო ტფილის გარეშე მცხოვრებ-თათვის ფასი 8 მან. იქნებაო. სახელად გაზეთს ერ-ქმევა „ახალი ამბები.“ („ივერია“)

ამბობენ, რომ ბ-ნი ივანე პერესელიძე, რომელმაც ამ დღეებში მიიღო სამეურნეო გაზეთის ბეჭდვის ნება-რთვა, ჯერ-ჯერობით არ შეუდგება ამ საქმესაო. („ივერია“)

უკანასკნელი დღეების ზოგიერთი საინტერესო

ჯეოგრაფიკი.

29 სექტემბერს.

სოჭი. ათის ნასკვარი იქნებოდა, რომ ან-არ-მოცდა-ათამდე გაცი მივიდა რუსეთის საკანსულოში და უკმაყოფილება გამოაცხადა. ანკევანში გაცემი არ მოტყე-ვნენ, ვინც ჩვენ გვინდობდა. საკანსულოს გამგებელმა, ბ-ნმა ნეკლეიძემ, მოაგონა სალხს, რა განზრახვითაც: ანის გაგზავნილი ბოლგარიაში გენერალი გაუღბარსი. მაშინ სალხი საანკევანო სადგურისკენ წავიდა, სადაც მოქალაქენი იყვნენ შეუჩინი გულჩევის თაკმჯდომარე.



ობით. როდესაც ახლად მოსულეებმა გამოაცხადეს: ჩვენ აქ იმიტომ მოვედით, რომ აჩვენებინათ უნდა შევეყენოთ, დიდი ჩხუბი და აუღ-მაყალი ასტყდა. ახლად მოსულეებმა ზოგიერთი თავის კაცი გასცეს და ზოგ თავიანთ ამხანაგს თითონვე დაუწვეს ტემა. ამჩვენებელმა კი უკელა მოსულეებს განუჩვენებლად ტემა დაუწვეს და ქვათა და კეტებით ერთს წამს გაჭყანტეს. ეს ჩხუბი და ტემა-ტემა სულ სამს წამს გაგრძელდა. გაფანტული ხალხი სამ ჯგუფად გაიყო და თავიანთი ნატეში და დაშვებულნი ამხანაგები რუსეთის საგონსულაში წაიყვანეს. დაშვებულა 36 კაცადე, მომეტებულს ნაწილს თავები აქვსთ გატეხილი. დაშვებულს რუსეთის საგონსულა უვლის. ბ-ნ ნმელიუდოვს განზრახვა აქვს სხვა სახელმწიფოთა წამომადგენელთ მოკლანადკოს. საჩვენებელ სადგურს უჩაუღად ერთი რატა ჯარა უყენია.

შპრშეშო. დღეს დილას გენერალი გაუღბანსა რუშჩევიდამ შემდსას, და კანსაში წავიდა. რუშჩევი სამშაბათს დაბრუნდება.

30 სექტემბერს.

პეტარბურგი. „Правительственный Вѣстник“-ი გვაუწყებს, რომ ავსტრიისა და რუმინიის სამზღვრებზე გაიგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს რჩევის წევრი დოკტორიუჟინოვი და ექიმი დობროტოვსკი, რომელთაც უნდა შეამოწმონ, რამდენად კარგად არის იქ დატყევილი საქმე საქიმო რევიზიისა, თუ კინიტობა ამ სამზღვრებზე გადმოვა კინმე სოლკიან ქვეყნებიდამაო.

ჟერ-ჟერობით სოფიადამ ისეთი ამბები მოდის, რომ კითომ აჩვენები დიდის საერო კრებისათვის მთავრობის კანდიდატების სასარგებლო უფროაო.

6 ოქტომბერს.

რუშჩევი. სოფიადამ მოდის ამბავი, რომ იქ ამ უამად ისე განმელებული ღარ არის საქმეო. ბოლგარიის მთავრობას განზრახვა აქვს მოუწოდეს რუსეთს. ვინც უფრო ზომიერის მიმართულებისანი არიან სამინისტროს წევრთა-შორის, მეტადრე ნახევიზი და სტოილკოვი, იმ აზრისანი იყენენ, რომ მხოლოდ გაჭირებაში შეიძლება დაუთმონ რამე აჩვენებების საქმის გამოკო და ახლა-კი თხოულობენ, რომ მთავრობამ რუსეთის სურვილს უურადღება მიაცილოს და დაუთმოს უოკელივე, რის დათმობაც შესაძლებელიაო.

შპრშეშო. დატყევილობით ამტკიცებენ, რომ ბოლგარიის დიდი საერო კრება დაიწება 15 ოქტომბერს

ტირნოვშიო. მთავრობის მდგომარეობა ვერ არის მტკიცეო: უკელა უგმაყოფილოა და ფუფუნ სრულიად აღარ არისო; ბარონ გაუღბანსას წასვლას ბოლგარიისა ესლა მოაქვს ნაყოფიო; რუსეთის მომხრენი უფრო და უფრო ძლიერდებიანო; სიკები ისმის, რომ ბეკრგან ბოლგარიისა შეიძლება უოკელს წუთს დიდი აჩუღობა მოხდეს მთავრობის წინააღმდეგაო.

ს ი ტ ყ ე ა

დღესასწაულსა ზედა წმიდისა საუფლოისა კვართისა, თქმული მცნების სობოროში 1-ს ოკტომბერს 1886 წელსა.

„უფლო ბაგენი ჩემნი აღანგენ და პირი ჩემი უთნობდეს ქებულებასა შენსა.“ (ფსალ. 50 მუხ. 16).

«ნათელი უცვალებელი, ნათლისა-გან მამისა მხოლოდ შობილი ძეო, დღეს გულნი სარწმუნოებით მგალობელთა გვართისა შენისათანი ცისკროვან ჰუფენ ნათლითა ღვთაებისა შენისათა, და სული შენი ყოვლად წმიდა და წრფელი განაახლენ მათ შორის». (განმანათლებელი დღესასწაულისა).

მართლ-მადიდებელნო მართველნო! ღღეს თქვენ შემოკრებილი ხართ იმ წმიდა, საღმრთო აღგილს, საიდგანაც ერთ ღროს მთელ საქართველოს მოეფინა ბრწყინვალე ნათელი ძრისტეს სწავლისა; თქვენ ელირსენით იმ აღგილს მისვლას, საიდგანაც ჩვენ სამშობლოს აღმოუბრწყინდა მზე სიმართლისა და ისტორიული სიცოცხლისა.

ძრისტეს მოყვარენო ერნო! თქვენ ხართ იმ დიდებულ ტაძარში, რომელ წიაღშე ინახებოდა ყოვლად სანატრელი ისტორიული სიწმიდე, საქართველოსადმი წილზღომილი, — ცხოველს მყოფელი და საუფლო კვართი მაცხოვრისა ჩვენისა. ღღევანდელი დღესასწაული შემოჰკრებს ერსა მართველთასა თითქმის ყოველი მხრიდგან ჩვენი სამშობლოისა; თითქმის ყოველი ახლო-მახლო ძრისტეს მლოცველი მართველი მოილტვის დღვისთვის მცნებისკენ მის დიდებულ ტაძარში სალოცველად; ხოლო დანარჩენნი — აზრით

და გონებით ერთად ჩვენთანა «ერთითა პირითა და ერთითა გულითა» თავიანთსა სცემენ და უკალობენ ამა ტაძრისა დღესასწაულსა. ჩვენ არ შევცდებით, რომ ვთქვათ, რომ არ არის ისეთი ძრისტიანე სული მთელ ჩვენ სამშობლოში, რომელმაც არ იცოდეს და დღეს ენახედ არ აღგეს დღევანდელი დღესასწაული; დღეს მთელ ქართველთა ერის გული და გონება მიმართულია ამ წმიდა ტაძრისაკენ.

რა დღესასწაულია, ქართველნო, დღევანდელი დღესასწაული, რა ისტორიული საფუძველი უძვეს და ან რა მნიშვნელობისაა?—აი, მედღესასწაულენო, ეს კითხვები დღეს მსურს განვიმარტოთ სადიდებლად ღვთისა და საგულისხმოდ ჩვენდა.

იყო დრო, ძრისტეს მლოცველნო ქართველნო, როდესაც მთელი საქართველო კერპთა მლოცველი და „ბნელსა შინა მსხდომარე“, ამ მცხეთაში, სადაც თქვენ, აწ მადიდებელნი ჭეშმარიტისა ღვთისა, დღეს შემოკრებულ ხართ თავიანთსა ცემლად მისსა ამ წმიდა ტაძარში, ერთ დროს აქ, —ამ მცხეთაში, —აღებულ იყო საკერპო გაცი და გაიმისა, არმაზ და ზადენისა, რომელთაც მთელი საქართველო უხრიდა თავსა და გულს მოდგანედ, გულ-მხურვალედ ევედრებოდა, ეს ის ისტორიული დრო იყო, როდესაც, არამც თუ მთელი საქართველო, არამედ მთელი ქვეყანა, გარნა ერთისა ღვთიურ აღზრდილისა ერისა, იყო წარმართი და მლოცველი „ღმერთთა ცრუთა“; ხოლო ოდეს იგი მოიწია აღსასრული ქამთა“, (გალატ. 4. 4.) აღნიშნული ღვთიურ განგებაში, მაშინა ცნობილ იქმნა ღმერთი იგი ჭეშმარიტი. ღიდება ღვთის განგებას! მარი იგი, რომელიც ითვლებოდა იმ დრომდინ „ღვთის არჩეულ ერად, ღვთის შვილად“, გარდაიქცა ამ დროს უკან ღვთის უარის მყოფელად. ძველმა ისრაილმან არამცთუ ვერ იცნო მაცხოვარი სოფლისა, არამედ ღვთის შვილი ღვთის მკვლელად გარდაიქცა: ძე ღვთისა გარდმოხდა ქვეყნად და ხორცნი ესე შეიხსნა ჩვენნი», «რათა ჩვენ ღვთაება შეგვამოს;» იგი უხილავი გამოუჩნდა ერსა თვისსა ხილულად; მაგრამ მათ დაბრმავებულთა და გულქვათავან იგი იგვემა, ინერწყვა, ყვრიმალს იცემა, კიცხვა და ბასრობა თავს იღვა და დასასრულ ჯვარს ეცვა და ცხოვრების მომცემელმან იხილა სიკვდილი, რათა სიკვდილითა მით სიკვდილი დასთრგუნოს, — იხილა ხრწნილება, რათა ჩვენ მოგვანიჭოს უხრწნელება, ძველი ისრაილი ესრეთ უდიდსად აღმოჩნდა, რისხვა ღვთისა მოველინა მათ; სამართალმან უფლისამან უარ-

პყო იგინი, ხოლო სახიერებამან მისმან აღიჩინა და მოუწოდა მათ მაგიერ — ერთა, რომელნიც აქნობამდინ იყვნენ „მსხდომარენი ბნელსა შინა და ჩრდილთა სიკვდილისათა.“ ქართველნო! ამ „ახალ ერთა“ შორის ამ ახალ ისრაილში პირველი მოწოდება ხედავრსა ქართველთასა. ჯერ ხმა ახლისა აღთქმისა არ გაეგონა არც ერთს „ახალს ერსა“, როდესაც ყოვლისა სიბრძნისა გამგებელმან და უფსკრულმან სახიერებისამან აღიჩინა ერი ქართველთა ახალ ისრაილად. ქართველნო! აი როგორ გაეხდით ღირსნი ამ ბედნიერებისა.

ოდეს უსჯულოთა მათ ურიათა ჯვარს აცვეს მხსნელი სოფლისა, მაშინ „ერისაგანთა მათ, — როგორც მოგვითხრობს დღევანდელი სახარება, — მოიღეს სამოსელი მასი და განიყვეს ოთხ ნაწილად; ხოლო კვართი იგი, რომელ იყო უკერველ, ზეით გამოქსოვილი ყოველად, არა განხიეს, არამედ განიდგეს წილი,“ (იოან. 19. 24) და აჰა, საკვირველებასა უზენაესისასა, კვართი ესე უფლისა, რომელი იყო ნაქსოვ ყოველად წმიდისა დედისა მიერ, წილ ხედავრისა ვისმე მცხეთელსა, რომელმანცა მოასვენა უწმიდესი ესე განძი ადგილსა ამას. ქართველნო! მანგებამან უფლისამან აღიჩინა საქართველო თავის ერად იმ მაცხოვრებით წუთს, როდესაც მხსნელმან ყოველთამან თვისის სიკვდილით კაცთა სიკვდილი დასთრგუნა და მოანიჭა ცხოვრება იგი საუკუნო. ძრისტეს მოყვარენო ქართველნო! ბოლგოთაზედვე გადაწყდა ჩვენი ბედი. ბოლგოთაზედვე აღნიშნულ იქმნა ჩვენი ერი მოწოდებულად ახალ აღთქმაში, და ამ არჩევის ნიშნად სახიერებამან უფლისამან წარმოუგზავნა საქართველოს უძვირფასესი იგი საუნჯე, — კვართი უფლისა. შუინარეს ყოველთა ერთა ერი საქართველოსი დაწინდულ იქმნა ახალ ისრაილად ცხოვრების მომცემელითა მით კვართითა უფლისათა. — ძველმა ისრაილმა თვითვე დაუთმოა ქართველთ თვისი ადგილი: კვართი უარ-ყოფილისა მათ მიერ მაცხოვრისა თვითვე, განგებითა უფლისათა, წარმოუგზავნა თვისის მოძმისავე ხელით იმ დროს, როდესაც „იგი აღარ იყო ღირს შვილ ღვთისა ყოფად.“

ახალი ისრაილო, საქართველოს შვილნო! აი ამ საუფლოსა კვართსა ზედა აღებულ არს ეს დიდებული ტაძარი, რომელშიაც დღეს თქვენ შემოკრებულხართ სადღესასწაულოდ! ამის აღშენებაშიაც ნათლად გამოჩნდა საქართველოსადმი მოწყალე და მფარველი ხელი უფლისა.



მს ის ტაძარი არის, შეილნო, რომელიც „დამფუძნებელმან ყოველთამან საფუძელად შეუძირებლად სიმტკიცისად“ აღაგო ძალითა თვისითა სვეტსა მას ზედა ცხოველსა. მს ის ტაძარია, ერთად ერთი მთელ დედა მიწის ზურგზედ, რომელიც თვალ-საჩინოდ აღშენდა აზა მარტო ხელთაგან, «ხოციელთა», არამედ უხილავითა ძალითა მიერ უზენაესისათა. მაშენებელთა ვერძალ ედვით იმ შეილთა სვეტთაგან, რომელთა ზედა აზს აღშენებული წმიდა ესე ტაძარი, ერთი სვეტის აღგება, — იმ სვეტისა, რომელიც უნდა აღმართებულ იყო აღგილსა მას, ძალა, ხელოვნება და საშუალება მაშენებელთა ამაო იყო ამ შემთხვევაში. აქ ცხადად დამტკიცდა სიტყვანი იგი წერილისა: „აზა თუმცა უჟაღმან აღაშენა სახლი, ცუდად შეგებიან მაშენებელნი მისნი“ (ფსალ. 126. 1). სვეტი ესე ამა ტაძრისა, აღმართებული კვართისა ზედა, არის ლოცვითა, ვედრებითა და ყოვლის შემძლებელის სარწმუნოების ძალითა წმიდისა დედისა ჩვენისა ნინა მართველთ განმანათლებელისათა, რომლისა სურვილისამებრ აღეშენა ტაძარი ესე შემდგომ საქართველოს ნათლის-ღებისა. მართველნო! მართველთ დედა ეკლესია, მართველთ სიონი, წმიდა ესე მცხეთის ტაძარი აღეშენა ძალითა უფლისათა, კვართისა მის საუფლოისა მფარველობის ქვეშ „კლდესა მას ზედა“, ღვთიურ აღმართებულსა, — აღეშენა საცოდ საქართველოს ერისა, პირმოზად და თავად ყოვლისა ივერიისა და დაწესებულ იქმნა, რათა მთელი საქართველო ამის ეკლესიისაგან მიიღებდეს კურთხევას: მეფენი ჩვენნი ცხებიტა, მღვდელ-მთავარნი ხელ-დასხმითა, ხოლო ყოველი მართველი ერი ლოცვითა და თავყვანის ცემითა ტაძრისა ამის წიაღსა შინა მდებარისა კვართისა და მას ზედა ღვთიურ აღმართებულისა სვეტისა ცხოველისათა. მს ის ტაძარია რომელმანცა შთაუდგა „ერთი სული და ერთი გული“ მთელ საქართველოს ერს, — ის ტაძარია, რომელიც თვისა ქვეშე მტკიცედ აკავშირებდა ყოველ წოდების და თანამდებობის წარმომადგენელთ ერთ და უძლეველ ჯგუფად, — ეს ის ტაძარია, რომელიც თვით განგებამ შუაგულ საქართველოში აღმართა საფუძველსა ზედა კეთილ-საიმედოსა მტკიცე სვეტად, შეურყეველ ბურჯად ჩვენი სამშობლოსა. ამ სვეტმა, ამ ბურჯმა აღადგინა საქართველოს ერი წასრულში საუკუნოთა შერყევითაგან, რომელნიც მას უთვალავ ჯერ შეხვედრია გრძელ ქამიერ ისტორიულ გზაზედ, ხოლო მომავალისათვის იგი საიმედო ნიშანია უშიშროებისა.

სწორეთ ბედნიერია და ბოლოს ბედნიერი მომავალიც ელის იმ ერს, რომელსა ზედა ასე თვალ-

საჩინოდ სჩანს ხელი უზენაესისა. — საქართველოს შეილნო! დავფიქრდეთ, მოვიგონოთ განგება და სახიერება ღვთისა, ჩვენ ზედა მოვლინებული, — მოვიგონოთ, თუ ვითარი იგი მაღალმან აღმოსავალით მოგვხედნა, აღმოგვიყვანა ბნელისა მისგან უფსკრულისა, მოგვფინა ნათელი ცნობისა თვისისა, რომელსა შინა კვრთ-თაყვანის მცემელთა ვისწავეთ ჭეშმარიტისა ღვთაებისა სამგვანებით თაყვანისცემა; მოვიგონოთ, თუ ვითარ განგებამან უფლისამან აღიზიდა საქართველოს ერი პირმოზად ახალ ისრაილს შორის, რის ნიშნადაც ბოლოგოთიდანვე წარმოუგზავნა და შემოსა იგი ცხოველს მყოფელითა მით კვართითა; მოვიგონოთ, თუ ვითარ იგი, მაღალი, მზგავსად ცეცხლისვე სვეტისა ურით უდაბნოსა შინა, წინა უძღოდა მამათა ჩვენთა მათ ისტორიულ გზაზედ სვეტითა მით ცხოველითა, რომელიცა ლამაზად უნათებდა მათ და ექნებოდა ჟამთა მათ განსაცდელთა შესავედრებელად, მფარველად და მხსნელად აუარებელისა მტრისაგან; დასასრულ მოვიგონოთ, თუ ვითარ, ნათელად მანანისა და უბრალოს წყლისა, აღმოუტენა მამათა ჩვენთა უკვდავ-მყოფელი იგი მირონი, რომელიც სწყარვობდა სვეტისა მისგან ცხოველისა. მოვიგონოთ ყოველივე ეს, ახალ ისრაილო, მოვიგონოთ აუარებელი სახიერება და უმღიდრესი წყალობა უფლისა და ნუ გვმზგავსებით ძველსა მას უმაღლოსა ისრაილსა.

მართლ-მადიდებელნო მართველნო! მოვიგონეთ, — მოვიგონეთ, რომ აქ, ამ ტაძარში, ამ მცხეთაში გამოსცა პირველ ხმა ზარმა და აქ შეიქმნა მართველი ერი მარისტეს მლოცველი, რომ შენთა მამა პაპათა აქ ამოედგათ და აქ განემტკიცათ მამაცი, სჯულისა და მამულისათვის თავ-დადებული სული, რომ აქ, — დულდა ერთხელ სიცოცხლე მართლისა და ამ სვეტის ძირს პირველ აყვავდა მართველთ სამშობლო; მოვიგონოთ, მედღესასწაულენო, წარსული, შევიგნოთ აწ მყო ჩვენი სამშობლოსა და აქ, ამ ჩვენ ისტორიულ, ეროვნულ ტაძარში, ამ საქართველოს სიონში შევევედროთ მხურვალის გულითა ნათელსა უცვალეებელსა, რათა გულნი სარწმუნოებით მგალობელთა საუფლოისა კვართისათანი ცისკროვან გვეყენეს ნათლითა ღვთაებისა თვისისათა და რათა განგვიახლოს ჩვენ შორისაც სული თვისი ყოველად წმიდა და წრფელი, რომლითაც ისე უხვად დასაჩუქრებულ იყვნენ წინაპრნი იგი ჩვენი. ამინ!

გ ა ზ ე ბ ა ნ ი.

ისუიდებიან მღვ. დავით ღამბაშიძისაგან
გამოცემული წიგნები:

თბილისში: ბრიტუროვის წიგნის მა-
ლაზიაში. ქუთაისში: ძმ. ჭილაძეების
წიგნის მალაზიაში. ყვირილაში: ყვირი-
ლის ნათლის-მცემლის ეკლესიის საეკლესიო
წიგნების საწყობში და დ. ხონში:
წერეთლის წიგნის მალაზიაში.

ს ა ხ ე ღ დ ო ბ რ:

საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი უუდოთ—ცხრა შაურნი.

ქართული ლოცვანი,

ფასი უუდოთ 30 კ. და უდით 45 კ.
მღვდელთათვის საიდუმლოების შესრუ-
ლების დროს საჭირო

სახელმძღვანელო წიგნი,

ფასი უდით ექვსი შაურნი.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა
ფსდგეზულება, ფასი ორი აბაზი.

ახალი პარაბდინი,

ფასი უდით ერთი მან.

ყვირილის საეკლესიო სანთლის საწყობში
ისუიდებიან აგრეთვე ყოველ-გვარი საღმრთო საეკ-
ლესიო წიგნები და წიგნები.

ს ტ ა მ ბ ა

მ. დ. ღამბაშიძისა და აზ. ე. ი. სელაძისა.

სტამბა გაიხსნა მსწრაფლ-მბეჭდავი მაშინით
და ყველა მოწყობილობით ქ. ქუთაისში
15 მაისს, 1886 წ. ანაჟესკის და ნემეცის
ქუჩაზე, საქალბო გიმნაზიის პირ-და-პირ,
მამაჯანოვის და ამირალოვის სახლებში.

იღებს ყოველ გვარ საბეჭდავ საქმეებს
სხვა-და-სხვა ენებზედ. შასი ყველა საბეჭდავზე
ზომიერია. შეკვეთილი საქმეები დაპირებულ
დროზედ ჩაბარდებათ ყველას.

სამღვდელოებას ყოველ-გვარი საქირო
ბლანკების დაბეჭდვა და მოპოება შეუძლია
ზომიერ ფასად. ძალაქს გარეშე მცხოვრებთა
შეუძლიათ მიმართონ ამ აღრესით: *Въ Ку-*
таисъ, въ типографію Гамбашидзе и
Хеладзе ანუ *Въ Квирилы, въ редакцію*
„Мѹкемелъ“ (Пастыръ) и Въ Тиф-
лисъ въ типографію Е. И. Хеладзе.
въ собст. домъ.

შ ი ნ ა ა რ ს ი: საეკლესიო-სამღვდელო და სა-
ხალხო სკოლების მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში
წინეთ და ესლა. — აფსაწყითიდან. — ჯრუჭის მონასტრიდან.
ოჩიოდე სიტყვა ჩვენა მდებარე სამეურნეო სკოლების
დამართვის შესახებ. — სალაიმბები და შენიშვნები. —
ტელეგრაფები. — სიტყა. — განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი მღვ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 9 Октября, 1886 г.*

მსწრაფლ-მბეჭდავი მღვ. დ. ღამბაშიძისა და ე. ი. სელაძისა.